საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№799 2016 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის განვითარებისათვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“, „კ“, „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს ახმეტის მუნიციპალიტეტის, მათ შორის, თუშეთის განვითარებისათვის ამ განკარგულების დანართში წარმოდგენილი დასაგეგმარებელი ტერიტორიების საორიენტაციო საზღვრებში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყონ, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტს ეთხოვოს ამავე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრებში

მდებარე უძრავი ქონების კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება, მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი


ჩეჩნეთი
რუსეთის
ფედერაცია
მცხეთა-
მთიანეთი
თუშეთი
ტბათანა
დაღესტანი
ახმეტა
ზემო ალვანი
ყვარელი
თელავი


ახმეტის
მუნიციპალიტეტი
თუშეთი
მასშტაბი: 1:240,000